გიორგი გურჯიევი

ცხოვრება რეალურია მხოლოდ მაშინ, როცა „მე ვარ“

ყველა და ყველაფერი
/ სერიის მესამე წიგნი

გამომცემლობა „აქტი“
თბილისი / 2025

გიორგი გურჯიევის სათაურად გამოთქმული ეს სიტყვები ღრმა ფილოსოფიურ მნიშვნელობას ატარებს. ამ გამონათქვამში „ვარ“ აღნიშნავს ცნობიერ მდგომარეობას, როდესაც ადამიანი სრულად ფხიზლად არის, თვითშემეცნებაშია და შიგნით ცხოვრობს. გურჯიევი გვასწავლის, რომ უმეტესობა ავტომატურად, მექანიკურად ცხოვრობს, ცნობიერების გარეშე. რეალური ცხოვრება იწყება მაშინ, როცა ადამიანი „იღვიძებს“, ანუ იძენს შინაგან თავისუფლებას და კონტროლს საკუთარ თავზე. მხოლოდ ამ მდგომარეობაში არის შესაძლებელი ჭეშმარიტი აღქმა, განვითარება და ზნეობრივი ზრდა. წინამდებარე ფრაზა მოგვიწოდებს, გავიცნობიეროთ თავი და გამოვფხიზლდეთ ყოველდღიური უგრძნობი მდგომარეობიდან, რადგან მხოლოდ ასეთ მყოფობაში („ვარ“) ცხოვრობს ჭეშმარიტად რეალური სიცოცხლე.

მთარგმნელი: გია ბერაძე
კორექტორი: ლ. ქოპილაშვილი
დიზაინი: ნიკა ჯიბლაძე
გამომცემელი: გიზო ცაცუა

მეორე გამოცემა

გამომცემლობა „აქტი“, 2025
ვებგვერდი: AKTI.GE

© გამომცემლობა „აქტი“

ISBN 978-9941-8-8006-3

სარჩევი

წინასიტყვაობა/ჟანა დე ზალცმანი.....5

პროლოგი.....11
შესავალი.....73
პირველი საუბარი.....93
მეორე საუბარი.....112
მესამე საუბარი.....127
მეოთხე საუბარი.....145
მეხუთე საუბარი.....161
ადამიანის გარე და შიდა სამყარო.....175
დაბერების პრობლემა.....200

„აქტის“ მიერ გამოცემული გიორგი გურჯიევის წიგნები.....217

წინასიტყვაობა

ჟანა დე გალცმანი

„ჩემი უკანასკნელი წიგნი, რომელშიც მინდა, ჩვენი საერთო მამის სხვა ქმნილებებს, ჩემ მსგავსებს, გავუზიარო ადამიანის შინაგანი სამყაროს თითქმის ყველა ადრე უცნობი საიდუმლოება, რომლებიც შემთხვევით შევიტყვე“.

გურჯიევმა ეს სიტყვები 1934 წლის 6 ნოემბერს დაწერა და მაშინვე დაიწყო მუშაობა. მომდევნო რამდენიმე თვე მან მთლიანად ამ წიგნის იდეის დამუშავებას მიუძღვნა.

შემდეგ კი, 1935 წლის 2 აპრილს, მან ერთბაშად შეწყვიტა წერა.

ყველას აქვს უფლება, იკითხოს, რატომ თქვა მან უარი თავის ამ წამოწყებაზე სწორედ ამ ეტაპზე და შემდეგ აღარასოდეს მიჰბრუნებია მას?

რატომ დატოვა მესამე სერია დაუმთავრებელი და, როგორც ჩანს, უარი თქვა მისი გამოქვეყნების განზრახვაზე?

ამ შეკითხვებზე შეუძლებელია პასუხის გაცემა, თუ ადამიანი თვითონ არ მონაწილეობდა იმ დაძაბულ შრომაში, რომელსაც გურჯიევი ეწეოდა თავისი ცხოვრების ბოლო თხუთმეტი წლის განმავლობაში რამდენიმე მოსწავლესთან ერთად,

რომლებსაც ყოველდღე უქმნიდა აუცილებელ პირობებს თავისი იდეების უშუალო და პრაქტიკული შესწავლისთვის.

მან თავისი წიგნის – „ბელზებელის ნაამბობი შვილიშვილისთვის[1]“ – ბოლო გვერდზე მკაფიოდ მიანიშნა, რომ მესამე სერია მისაწვდომი იქნებოდა მხოლოდ მათთვის, ვისაც შეარჩევდნენ, როგორც უნარიანები საიმისოდ, რომ ჩამწვდარიყვნენ „ნამდვილ ობიექტურ ჭეშმარიტებებს, რომელთაც ის „გააშუქებდა“ ამ სერიაში“.

გურჯიევი მიმართავს თანამედროვე ადამიანს, ანუ ადამიანს, რომელსაც უკვე აღარ შეუძლია, შეიცნოს ჭეშმარიტება, რომელიც მის წინაშე ადრეული პერიოდიდან მოყოლებული სხვადასხვა ფორმით იჩენს თავს, ძალიან დაუკმაყოფილებელ ადამიანს, რომელიც თავს იზოლირებულად გრძნობს და უაზროდ ცხოვრობს.

ამრიგად, თუ წარმოვიდგენთ, რომ ასეთი ადამიანი არსებობს, როგორ გავაღვიძოთ მასში გონება, რომელსაც შეეძლება, რეალური ილუზორულისგან განასხვაოს?

გურჯიევის მიხედვით, ჭეშმარიტებას შეიძლება მიუახლოვდე მხოლოდ მაშინ, როდესაც ადამიანის არსების ყველა შემადგენელი ნაწილი – აზროვნება, ემოცია და სხეული – მოქმედებს ერთი და იმავე ძალითა და საშუალებით, რომელიც თითოეულ მათგანს შეესაბამება. წინააღმდეგ შემთხვევაში განვითარება აუცილებლად ცალმხრივი იქნება და, ადრე თუ გვიან, ჩიხში მოექცევა.

ამ პრინციპის ღრმად ჩაწვდომის გარეშე, საკუთარ თავზე მთელი მუშაობა აუცილებლად ასცდება თავის მიზანს. ყველაზე არსებითი პირობები არასწორად გაიგება და ადამიანი

1. „ბელზებელის ნაამბობი შვილიშვილისთვის“, გამომცემლობა „აქტი“, 2025.

მიიღებს მხოლოდ ძალისხმევის ფორმის მექანიკურ განმეორებას, რომელიც არასოდეს აღემატება ორდინარულ დონეს.

გურჯიევმა იცოდა, თუ როგორ გამოეყენებინა ცხოვრების ყველა გარემოება საიმისოდ, რომ ადამიანებისთვის ჭეშმარიტება ეგრძნობინებინა.

მე მინახავს, მუშაობისას ყურადღებით რომ სწავლობდა თითოეული მოსწავლის გაგების უნარებსა და სუბიექტურ სიძნელეებს, მინახავს, როგორ აკეთებდა განზრახ აქცენტს ცოდნის ხან ერთ ასპექტზე და ხან მეორეზე. სრულიად განსაზღვრულ გეგმას მიჰყვებოდა, მუშაობდა ხან იმ აზრით, რომელიც ინტელექტს სტიმულს აძლევდა და სრულიად ახალი ხედვის შესაძლებლობას ქმნიდა, ხან იმ გრძნობით, რაც უარის თქმას მოითხოვდა ყოველგვარ ხელოვნურზე უშუალო და სრული გულწრფელობის სასარგებლოდ, ხან კი სხეულის გამოღვიძებით და მოძრაობაში მოყვანით, სხეულისა, რომელსაც უნდა ესწავლა ყველაფერი, რაც მისგან მოითხოვებოდა.

ამრიგად, რა იყო „მესამე სერიის“ დაწერის მიზანი?

როლი, რომელიც გურჯიევს მისთვის ჰქონდა განსაზღვრული, არ შეიძლება განცალკევდეს სწავლების მისი მეთოდებისგან. რომელიღაც გარკვეულ მომენტში, როცა თვითონ აუცილებლად თვლიდა, ის, უბრალოდ, ითხოვდა, მისი თანდასწრებით ხმამაღლა წაეკითხათ რომელიმე თავი ან ადგილი და თან ამ დროს მოსწავლეებს მინიშნებებს აძლევდა, ან რაღაც სახეს, რაც მოულოდნელად უხელდა მათ თვალებს საკუთარი თავისა და შინაგანი წინააღმდეგობების შესახებ.

ეს იყო გზა, რომელიც არათუ განაცალკევებდა მათ ცხოვრებისგან, არამედ სწორედ მასზე გადიოდა; გზა, რომელიც ითვალისწინებდა „ხო“ და „არას“, საპირისპიროებს, ყველა ერთმანეთის საწინააღმდეგო ძალას; გზა, რომელიც მოსწა-

ვლეებს არწმუნებდა, რომ აუცილებელი იყო ბრძოლა, რათა ცხოვრებისეულ შეტაკებებზე ამაღლებულიყვნენ და ამასთან ერთად მონაწილეობა მიეღოთ მასში.

ადამიანი უახლოვდებოდა რაღაც ზღურბლს, რომელზედაც უნდა გადაებიჯებინა და, უწინარეს ყოვლისა, გრძნობდა, რომ მისგან სრული გულწრფელობა მოითხოვებოდა. ეს გადასვლა შეიძლება რთული ჩანდა, მაგრამ რაც უკან რჩებოდა, ძველებურად მიმზიდველი აღარ იყო. გაჩენილი მერყეობის ფონზე თვით გურჯიევის სახე იყო საზომი იმისა, თუ რა უნდა მიეცა და რის მიცემაზე უნდა ეთქვა უარი არასწორი მიმართულებისთვის თავის ასარიდებლად.

და ეს უკვე დოქტრინის სწავლება კი აღარ იყო, არამედ ცოდნის განსახიერებული მოქმედება.

მესამე სერია ისეთი სახით, როგორიც ის არის – არასრული და დაუმთავრებელი – გვაჩვენებს ოსტატის მოქმედების მეთოდს, რომელიც, თუნდაც მხოლოდ თავისი არსებობით, გაიძულებთ, მიხვიდეთ რაღაც საბოლოო გადაწყვეტილებამდე, გაიძულებთ, იცოდეთ, რა გსურთ.

სიკვდილის წინ გურჯიევმა თავისთან მიმიხმო, რათა ეთქვა, როგორი იყო მდგომარეობა და ინსტრუქციები მოეცა ჩემთვის.

„მაშინ გამოეცი, როცა დარწმუნებული იქნები, რომ მისი დრო მოვიდა. გამოეცი პირველი და მეორე სერიები, მაგრამ ყველაზე მთავარი, უპირველესი ის არის, რომ მოამზადო ადამიანების ბირთვი, რომელთაც შეეძლებათ, საჭირო მოთხოვნებს თავი გაართვან.

სანამ ასეთი ბირთვი არ შეიქმნება, იდეის მოქმედება გარკვეულ ზღურბლს ვერ გადასცდება. ამას დრო დასჭირდება... ბევრი დრო...

მესამე სერიის გამოცემა აუცილებელი არ არის. ის სხვა მიზნით დაიწერა. და მაინც, თუ ერთხელაც იქნება, იმ დასკვნამდე მიხვალ, რომ ამის გაკეთება საჭიროა, მაშინ გამოეცი ის“.

ამოცანა ჩემთვის ნათელი იყო: როგორც კი პირველი სერია გამოიცა, საჭირო გახდა შეუსვენებლად მუშაობა იმ ბირთვის შესაქმნელად, რომელსაც ობიექტურობის თავისი დონის, ერთგულებისა და საკუთარი თავისადმი წაყენებული მოთხოვნების წყალობით ხელი უნდა შეეწყო იმ მოძრაობისთვის, რომელსაც საფუძველი უკვე ჩაყრილი ჰქონდა.

პროლოგი

მე ვარ?... მაგრამ სად გაქრა ის სრული შეგრძნება საკუთარი თავისა, რომელიც ადრე ყოველთვის იყო ჩემში თვით-მოგონების პროცესის თვით-კვლევის ასეთივე მომენტებში?

ნუთუ ეს შინაგანი შესაძლებლობა თავად შევიძინე – ყველა სახის თვით-უარყოფის და თვითრეგულირების ხარჯზე – მხოლოდ იმისთვის, რომ ახლა, როცა მისი გავლენა ჩემი ყოფისთვის ჰაერზე მეტად აუცილებელი გახდა, ის უკვალოდ უნდა გამქრალიყო?

არა! ეს არ შეიძლება ასე იყოს! აქ რაღაც სწორად ვერ არის.

თუ ეს სიმართლეა, მაშინ ყველაფერი გონების სფეროში – ალოგიკურია.

მაგრამ ჩემში ჯერ კიდევ არ არის ატროფირებული გაცნობიერებული მუშაობისა და განზრახ ტანჯვის უნარი.

ყველა წარსული მოვლენის გათვალისწინებით მე ჯერ კიდევ უნდა ვიყო.

მე მინდა!... და მე ვიქნები!

გარდა ამისა, ჩემი ყოფნა აუცილებელია არა მხოლოდ ჩემი პირადი ეგოიზმისათვის, არამედ ასევე მთელი კაცობრიობის საერთო კეთილდღეობისათვის.

ჩემი ყოფნა მართლაც აუცილებელია ყველა ადამიანისათვის. უფრო მეტად აუცილებელიც კია მათთვის, ვიდრე მათი დღევანდელი კეთილდღეობა და ბედნიერება.

მე მინდა, კიდევ ვიყო... მე ჯერ კიდევ ვარ!

ადამიანის აზრების ასოციაციის ჩაუწვდომელი კანონებით, ახლა, სანამ დავიწყებდე ამ წიგნის წერას, რომელიც ჩემთვის იქნება მესამე, ანუ საინსტრუქციო, სერია წერილებისა, და საერთოდ ჩემი უკანასკნელი წიგნი, რომელშიც მინდა, გავუზიარო ჩვენი საერთო მამის მიერ შექმნილ სხვა ქმნილებებს, თვითონ ჩემ მსგავსებს, ადამიანის შინაგანი სამყაროს ადრე უცნობი თითქმის ყველა საიდუმლოება, რომლებიც მე შემთხვევით შევიტყვე. მე ისევ მომივიდა თავში ზემოთ ციტირებული ის თვით-შთაგონება, რომელიც ჩემში თითქმის რაღაც ბოდვის მდგომარეობაში გრძელდებოდა, შვიდი წლის წინ რომ ვიყავი, და ასე მგონია, ახლაც გრძელდება.

ეს ფანტასტიკური მონოლოგი ჩემში 1927 წლის 6 ნოემბერს მიმდინარეობდა, ადრიან დილით, პარიზში, მონმარტრის ერთ-ერთ ღამის კაფეში, როცა უკვე ქანცის გაწყვეტამდე დაღლილმა ჩემი „ბნელი“ ფიქრებით გადავწყვიტე, სახლში წავსულიყავი და იქ კიდევ ერთხელ მეცადა, შევძლებდი თუ არა კიდევ ერთხელ, თუნდაც ცოტა ხნით, წამეძინა.

თუმცა ჩემი ჯანმრთელობის საქმე საერთოდ მაშინ ცუდად იყო, მაგრამ იმ დილით თავს განსაკუთრებით უქეიფოდ ვგრძნობდი.

ჩემი უბადრუკი მდგომარეობა იმ დილით კიდევ უფრო გააუარესა იმ ფაქტმა, რომ უკანასკნელი ორი თუ სამი კვირის განმავლობაში დღე-ღამეში ერთ თუ ორ საათზე მეტი არ მეძინა, იმ ბოლო ღამეს კი საერთოდ ვერ შევძელი დაძინება.

ამ უძილობისა და ჩემი ორგანიზმის თითქმის ყველა ფუნქციის იმ დღეებში მეტისმეტი მოშლილობის ძირითადი მიზეზი

შესავალი

1934 წლის 6 ნოემბერი, რესტორანი ჩაილდზ
კოლუმბუს სერკლი, ნიუ-იორკი.

იმ დროს, როცა მე, შეიძლება ითქვას, „ვნაღვლობდი“ და „ვოხრავდი“ ჩემი ნაწერების მეორე სერიის მესამე წიგნის უკანასკნელ თავში, ჩემი, ასე ვთქვათ, „ქვეცნობიერი აზროვნების“ პროცესში, ჩემ ავტომატურად მიმდინარე აზრებში, ინტერესი თავისთავად კონცენტრირდა საკითხზე: როგორ უნდა დამეწყო მე წიგნების მესამე სერია, რომლის დაწერაც დაგეგმილი მქონდა, კერძოდ კი, იმ წიგნების სერია, რომელთა დანიშნულება, ჩემი ჩანაფიქრით, ის იყო, რომ ძალიან მოკლე დროის განმავლობაში, ასე ვთქვათ, „დამრიგებლურ-ინსტრუქციული“ გამხდარიყვნენ „ჩვენი საერთო მამის“, ჩემი მსგავსების, ყველა გამოცემისათვის. მაგრამ აქ მე გულწრფელად უნდა ვაღიარო, რომ მალე იმის შემდეგ, რაც მწერლის პროფესია ავირჩიე, ყველაზე მეტად რომ შეესაბამებოდა ჩემს მაშინდელ მოულოდნელ ფიზიკურ მდგომარეობას, და როცა ჩემი ფიზიკური მდგომარეობის გაუმჯობესების პარალელურად ნათლად გავიაზრე, რომ ჩემი პირადი წერილობითი განმარტებები უზარმაზარ სარგებლობას მოუტანდა თანამედროვე ადამიანების უმრავლესობას ისევე, როგორც მომავალ თაობებს, გადავწყ-

ვიტე, წიგნების სწორედ ამ სერიით შეგნებულად გადამეხადა სამაგიერო „დიადი ბუნებისათვის“ ჩემი ამქვეყნად გაჩენისა და არსებობისათვის – არა უბრალოდ ისეთი არსებობისათვის, როგორიცაა „ჩვეულებრივი ცხოვრება“, ავტომატურად რომ ასრულებს რაღაც დანიშნულებას, აუცილებელს „დიადი ბუნების“ საერთო საჭიროებებისათვის, არამედ განსაკუთრებულისათვის და გაცნობიერებულისათვის, მიუკერძოებლად რომ აფასებს საკუთარ თავს და ამავე დროს დაჯილდოებულია ყოველმხრივი სრულყოფისა და დამოუკიდებელი ერთიანობის უნარით.

ამ, ცოტა ხნის წინანდელი განსჯების შედეგად გამოტანილმა, დასკვნამ, ჩემ დღევანდელ გაცნობიერებულ აზრებთან ერთად ამ უკანასკნელი წიგნის დასრულების შესახებ, მიმიყვანა კატეგორიულ გადაწყვეტილებამდე, ეს „დამრიგებლურინსტრუქციული“ წიგნების სერია, ჩრდილოეთ ამერიკაში ჩემ უკანასკნელ ორ მოგზაურობასთან დაკავშირებული მოვლენების აღწერით დამეწყო და მასში შეკუმშული სახით შემეტანა საუბრები, რომლებიც ჩავუტარე ჩემი იდეების მიმდევარ ჯგუფებს, რაც ჩემ პირველ მოგზაურობამდე ნიუ-იორკში ათი წლით ადრე ორგანიზდა.

ამ აღწერით ძირითადად იმიტომ მინდოდა დამეწყო, რომ იმ საუბრების საფუძველზე, როგორც მე მქონდა ისინი დაგეგმილი ჩემს ფიქრებში, შეიძლებოდა აგებულიყო აუცილებელი ფუნდამენტი ყველაფრისათვის, რისი შეტანაც გადაწყვეტილი მქონდა ადამიანების ცხოვრებაში ჩემი ნაწერების ამ მესამე და უკანასკნელი სერიის საშუალებით. და, გარდა ამისა, იმიტომ, რომ ამ ლექციების გამოქვეყნება იმ მოვლენებისა და მიზეზების აღწერასთან ერთად, რომლებიც მათ გამოიწვიეს და რომლებზედაც მე ვირეაგირე სწორედ ამ საუბრების გარკვეული ფორმითა და თანმიმდევრობით, მოახდენდა ფორმირე-

ბას, მე თითქმის ეჭვიც არ მეპარებოდა, თავიანთი ერთიანობით რაღაც, ასე ვთქვათ, „ავტომატურად მოქმედი ფაქტორისა“ მრავალი ათასი ორივე სქესის ადამიანის მთლიანად დაღუპვის შესაძლო თავიდან აცილებისათვის ევროპის, აზიისა და ამერიკის სხვადასხვა ქვეყანაში.

მესამე სერიის ამ შესავალ წიგნში მე გადმოვცემ ხუთი საუბრის „კვინტესენციას[14]“, რომელთაგან ოთხი 1930 წლის ბოლოს და 1931 წლის დასაწყისში ჩავატარე, ერთი კი 1931-ში თუ 1932 წლის დასაწყისში.

ჩემი ნაწერების ამ სერიის მკითხველებისათვის, იმის მიუხედავად, თუ ცნობიერების რომელ დონეს მიაკუთვნებენ ისინი თავს, ჩემი აზრით, ზედმეტი არ იქნება, გაიგონ, გარდა სხვა რაღაცებისა, თუ ჩემი რომელი წარმოდგენებისა და ინსტინქტური ვარაუდებისგან გაჩნდა ჩემ მიერ გამოყენებული ფრაზა: „გაცნობიერებულად გადავუხადო სამაგიერო დიად ბუნებას“.

ეს ფრაზა მე თითქმის ბუნებრივად წამომცდა და მან მიიღო ფორმა, რომელიც ჩემი ინსტინქტური და გაცნობიერებული რწმენის მთელი ერთობლიობიდან მოდიოდა, რომ ჩემი ნაწერების ამ მესამე სერიის გამოქვეყნების აქტით მე შემეძლო, მქონოდა იმედი, რომ შევასრულებდი იმას, რაც, ჩემი აზრით, საპასუხისმგებლო ასაკს მიღწეული ადამიანის ყველაზე მნიშვნელოვან მოვალეობას წარმოადგენს და იმაში გამოიხატება, რომ მოამზადოს შთამომავლობისთვის მთელი თავისი ინდივიდუალობის შესაბამისად ზოგიერთი სასარგებლო ინსტრუქცია, უფრო მეტიც, მე შემეძლო, თვით ამ აქტით, თუნდაც სრულიად სუბიექტურად, აზრი შემეძინა ყველა ჩემი ადრინდელი გააზრებული შრომისათვის და გაცნობიერებული უარისთვის ყველა სახის სიკეთისაგან, რომლებიც ჩვეულებრივ კრისტა-

14. კვინტესენცია – რისამე საფუძველი, არსი.

„აქტის“ მიერ გამოცემული
გიორგი გურჯიევის წიგნები

1. გრძნეულთა ბრძოლა
2. დანახული რეალური სამყაროდან
3. შეხვედრები შესანიშნავ ადამიანებთან
4. ბელზებელის ნაამბობი შვილიშვილისთვის
5. ცხოვრება რეალურია მხოლოდ მაშინ, როცა „მე ვარ“